

ლიტერატურული ტექსტის ადაპტაცია და ინტერპრეტაციის საკითხი
ქართულ კინოში

ანი გზირიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კინომცოდნეობის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კინომცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეო ხატიაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2025

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად”.

ანი გზირიშვილი

(19.06.25)

აბსტრაქტი

ფრაზა „წიგნი ჯობია“ გადაიქცა კულტურულ კლიშედ, რომელიც ხშირად ლიტერატურასა და კინოს ურთიერთობას შეჯიბრის სახით წარმოგვიდგენს. ეს ნაშრომი ემიჯნება მსგავს შედარებას და იკვლევს ლიტერატურული ტექსტების ეკრანიზაციებს ქართულ კინემატოგრაფიაში, ინტერპრეტაციის, ინტერტექსტუალობისა და იდეოლოგიური ტრანსფორმაციის პრიზმიდან. ლიტერატურისა და კინოს ურთიერთობა განიხილება, არა როგორც ორ მედიუმს შორის ერთმნიშვნელოვანი გადატანა, არამედ როგორც ტექსტების დიალოგი, რომელიც ყოველ ახალ კინონამუშევარში ახალი ინტერპრეტაციული სივრცის შექმნას იწვევს. ნაშრომში გაანალიზებულია რვა ქართული ფილმი, რომლებიც შვიდ ლიტერატურულ ტექსტს ეყრდნობა, მათ შორის ადრეული და თანამედროვე ეკრანიზაციები. თეორიულად, კვლევა ეფუძნება ადაპტაციისა და ინტერტექსტუალობის ისეთ კონცეფციებს, როგორებიცაა ლინდა ჰაჩონის „გამეორება გამეორების გარეშე“, ასევე რობერტ სტამის თეორიებს. საკვლები კითხვების დახმარებით კვლევა წარმოაჩენს, როგორ ახდენენ ქართველი რეჟისორები ლიტერატურული კლასიკის რეპრეზენტაციას სხვადასხვა ეპოქაში, ასახავენ, ეწინააღმდეგებიან ან ავითარებენ მის ლიტერატურულ პირველწყაროს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ქართული კინო, ეკრანიზაციები, ინტერტექსტუალობა, კინომცოდნეობა

Abstract

The phrase "the book is better" has become a cultural cliché, often framing the relationship between literature and cinema as a competition. This research challenges that binary and explores the complementarity of literary texts and their film adaptations in the context of Georgian cinema. Drawing on a selection of eight films based on seven literary works, the study investigates how adaptation functions not merely as a retelling, but as a process of intertextual and ideological transformation shaped by historical, aesthetic, and authorial factors. Through a comparative textual analysis grounded in adaptation and intertextuality theories - particularly the works of Linda Hutcheon, Robert Stam - the research identifies how Georgian films reinterpret canonical literary texts across different periods, from early silent cinema to contemporary feminist and postcolonial narratives. Key questions include how authorial agency manifests in adaptations, how intertextual dialogue is constructed between text and film, and how socio-political and cultural contexts shape these cinematic reinterpretations. Rather than evaluating fidelity, the study emphasizes how film adaptations become new interpretive spaces that reflect, contest, or expand their literary sources.

Keywords:

Georgian cinema, literary adaptation, intertextuality, film studies

მადლობა

მადლობა ჩემს ხელმძღვანელს, ვისგანაც მნიშვნელოვან რჩევებს ვიღებდი და რომელმაც მომცა ის თავისუფლება, მე რაც მაინტერესებდა, იმ საკითხზე მემუშავა და არა მხოლოდ ნაშრომზე მუშაობის დროს გაწეული დახმარების გამო, წლების განმავლობაში ჩემი მასწავლებელი იყო ამ გზაზე. მადლობა დედაჩემს, რომელსაც ჩემზე მეტად სჯეროდა, დავასრულებდი სწავლის ამ ეტაპს. მადლობა ნიკა ნამორაძეს, რადგან მან შეძლო ვორდში ნაშრომის დანომრვა.